

შპს „ვიპ ავთიშენ“

(ს/კ - 406054308)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ვიპ ავთიშენ“

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის  
ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

|                                                            |   |
|------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                   | 3 |
| სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება..... | 4 |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                                                                                                                                                                                                           |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია.....                                                                                                                                                                                                                                 | 5  |
| 2. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....                                                                                                                                                           | 5  |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები .....                                                                                                                                                                                               | 8  |
| 4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის .....                                                                                                                                                                                                              | 8  |
| 5. ძირითადი საშუალებები .....                                                                                                                                                                                                                             | 9  |
| 6. არამატერიალური აქტივები.....                                                                                                                                                                                                                           | 9  |
| 7. მარაგები.....                                                                                                                                                                                                                                          | 9  |
| 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                                                                                                                                                                                                        | 9  |
| 9. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                                                                                                                                                                                                      | 10 |
| 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                                                                                                                                                                                                    | 10 |
| 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად: .....                                                                                                                                                        | 10 |
| 11. საოპერაციო შეოსავალი: .....                                                                                                                                                                                                                           | 10 |
| 2019 წლის საოპერაციო შემოსავალი მოიცავს საჰაერო ხომალდებისათვის წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევას არარეგულარული და რეგულარული რეისებისათვის; ხოლო კომპანიის სხვა შემოსავალი მოიცავს საბაჟო-საბროკერო მომსახურების სერვისიდან მიღებულ შემოსავალს..... | 10 |
| 12. მომსახურების გაწევისთვის გაწეული პირდაპირი დანახარჯები. ....                                                                                                                                                                                          | 10 |
| 13. სხვა შემოსავალი: .....                                                                                                                                                                                                                                | 11 |
| 14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად: .....                                                                                                                                                                                       | 11 |
| 15. სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯები(წარმომადგენლობითი ხარჯი).....                                                                                                                                                                                      | 11 |
| 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:.....                                                                                                                                                                                                              | 11 |
| 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება:.....                                                                                                                                                                                                               | 12 |

შპს „ვიპ ავიეიშენ“-ის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ფინანსური მდგომარეობა                                                                         |    | 31 დეკემბერი 2021 წ | 1 იანვარი 2021 წ |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|----|---------------------|------------------|
| აქტივები                                                                                      |    |                     |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                   | 9  | 189,562             | 454,853          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                            | 8  | 598,430             | 177,968          |
| საინვესტიციო ქონება                                                                           |    | -                   | -                |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ                                                         |    | 10,288              | -                |
| გადახდილი ავანსები                                                                            |    | 61,253              | 85,880           |
| მარაგები                                                                                      | 7  | 4,035               | 3,866            |
| საინვესტიციო ქონება                                                                           |    | -                   | -                |
| მისაღები პროცენტები                                                                           |    | 199                 | -                |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                                                       |    | 5,911               | 4,811            |
| ძირითადი საშუალებები                                                                          | 5  | 43,621              | 53,590           |
| სულ აქტივები                                                                                  |    | 913,299             | 780,968          |
| ვალდებულებები                                                                                 |    |                     |                  |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                                                                  |    | -                   | -                |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                         | 10 | 195,546             | 84,413           |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები                                                         |    | -                   | -                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                            |    | -                   | 960              |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                    |    | 676                 | -                |
| მიღებული ავანსები                                                                             |    | -                   | 1,135            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                                                               |    | -                   | -                |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                                                            |    | -                   | -                |
| მიღებული გრანტები                                                                             |    | -                   | -                |
| სხვა ვალდებულებები                                                                            |    | -                   | 21,707           |
| სულ ვალდებულებები                                                                             |    | 196,222             | 108,215          |
| საკუთარი კაპიტალი                                                                             |    |                     |                  |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერაციის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') |    | -                   | -                |
| საემისიო შემოსავალი                                                                           |    | -                   | -                |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                  |    | -                   | -                |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                                                                 |    | 717,077             | 672,753          |
| გადაფასების რეზერვი                                                                           |    | -                   | -                |
| დივიდენდი                                                                                     |    | -                   | -                |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                         |    | 717,077             | 672,753          |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                        |    | 913,299             | 780,968          |

შპს „ვიპ ავეიშენ“-ის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის  
სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                                                                                                                   |    | 2021 წელი   |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|-------------|
| ნეტო ამონაგები                                                                                                                    |    | 5,428,204   |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                                            | 11 | 5,428,204   |
| სხვა                                                                                                                              |    | -           |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                                                                                             |    | (4,736,689) |
| მომსახურების გაწევისთვის გაწეული პირდაპირი დანახარჯები                                                                            | 12 | (4,725,901) |
| რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები                                                                                                 |    | (10,788)    |
| საერთო მოგება                                                                                                                     |    | 691,515     |
| სხვა შემოსავალი                                                                                                                   |    | 4,746       |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                                                                            | 13 | 949         |
| სხვა განსაკუთრებული შემოსავალი                                                                                                    |    | 3,797       |
| საოპერაციო ხარჯები                                                                                                                |    |             |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                                          |    | (368,029)   |
| ცვთა და ამორტიზაცია                                                                                                               |    | (18,541)    |
| იჯარის ხარჯი                                                                                                                      |    | (29,469)    |
| მარკეტინგული ხარჯი                                                                                                                |    | (4,094)     |
| მივლინების ხარჯი                                                                                                                  |    | (46,446)    |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                                                                          | 14 | (61,931)    |
| წარმომადგენლობითი ხარჯები                                                                                                         |    | (45,070)    |
| სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები                                                                                                    |    | (4,455)     |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                                                                            |    | (578,035)   |
| საოპერაციო მოგება                                                                                                                 |    | 118,226     |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:                                                                                                |    | -           |
| ფინანსური აქტივები                                                                                                                |    | -           |
| მარაგები                                                                                                                          |    | -           |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                                                                                        |    | -           |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან                                                                            |    | (43,373)    |
| მიღებული დივიდენდები                                                                                                              |    | -           |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                                                                     |    | -           |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                                                            |    | 74,853      |
| მოგების გადასახადი                                                                                                                |    | (4,834)     |
| მოგება/(ზარალი)                                                                                                                   |    | 70,019      |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                                                                                 |    | -           |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი                                                            |    | -           |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) |    | -           |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ                                                                                             |    | -           |
| მილიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                                                                                |    | -           |
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)                                                                         |    | 672,753     |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               |    | -           |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    |    | (25,695)    |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             |    | -           |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         |    | -           |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                                    |    | 717,077     |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიპ ავეიშენ“ (406054308) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ პენდლინგური ტიპის კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა, წარმოდგენლობითი მომსახურების გაწევა არარეგულარული და რეგულარული რეისებისათვის, რომელიც თავის თავში გულისხმობს ყველა საჭირო მომსახურების დაორგანიზებას თვითმფინავის, ეკიპაჟისა და მგზავრებისათვის, როგორც აეროპორტის შიდა ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კომპანია დაფუძნდა 2011 წელს. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- 52% - იანი წილის მფლობელი და ამავდროულად კომპანიის დირექტორი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ზნ. მირიან სარიშვილი (პ/ნ 53001006750).

- 25% - იანი წილის მფლობელი და ამავდროულად კლიენტებთან ურთოერთობის მენეჯერი - თორნიკე ქორთომიძე

- 23% - იანი წილის მფლობელი - გიგა ტოგონიძე;

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონი, ვარკეთილის დას., IV მ/რ, II რიგი, კორ. #15, ბ N 51

ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

## 2. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### წარდგენის საფუძველი:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადდება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

### მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2018 წლის 1 იანვრისთვის.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში/შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

### უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში.

2021, 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                            | აშშ დოლარი | ევრო   |
|----------------------------|------------|--------|
| 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.2766     | 4.0233 |
| 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976     | 3.5040 |

#### ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|--------------------------|--------------------------------|
| შენობა ნაგებობები        | 20 წელი                        |
| საოფისე აღჭურვილობა      | 4-9 წელი                       |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 2-8 წელი                       |
| სატრანსპორტო საშუალებები | 6-14 წელი                      |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

#### არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-9 წლით.

შენიშვნა: ამჟამად კომპანიის არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალაო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალაო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის

კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

შენიშვნა: ამჟამად კომპანიას არ გააჩნია ფინანსური ვალდებულებები

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და მოთხოვნის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და მოთხოვნის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში (ქართული ლარი). საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

#### სესხები და ოვერდრაფტი:

სესხის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯის ჩართვა ხდება ფინანსურ ხარჯში.

#### გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იზღვრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი; მაგ.: ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს საღაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

#### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები/მარაგები

იმის გამო, რომ კომპანიის საქმიანობა სპეციფიკურია, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენა და მიწოდება დამოკიდებულია მომხმარებელს შეკვეთებზე (ინდივიდუალურ შეკვეთაზე ინდივიდუალურად) ამავდროულად, მათი რეალიზაციაში (მომსახურების პაკეტში) ჩართვა ხდება მარაგების თვითღირებულებით და აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

ის მარაგები, რომელიც პირდაპირ არ არის ჩართული მომსახურების გაწევაში აღიარდება თვითღირებულებით და მისი ჩამოწერისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით.

#### საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე

ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

#### შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და შეკვეთის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

#### მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების/პირობების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

#### ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს, როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

#### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოწვევი გარემოებები, ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უუზგატარებთ) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებას და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

### 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

### 4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანია ცვეთას ითვლიდა საგადასახადო მოგების (ზარალის) განსაზღვრისათვის. წარდგენის მიზნებისთვის დაკორექტირდა მიმდინარე და წინა წლების ცვეთა და ამორტიზაცია, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                      | საოფისე<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ       |
|--------------------------------------|------------------------|-----------------------------|-----------|
| ნაშთი 01.01.2021                     | 29,768                 | 106,755                     | 136,523   |
| შემოსვლა                             | 8,164                  | -                           | 8,164     |
| გასვლა                               | -                      | -                           | -         |
| ნაშთი 31.12.2021                     | 37,932                 | 106,755                     | 144,687   |
| დაგროვილი ცვეთა                      |                        |                             |           |
| დაგროვილი ცვეთა 01.01.2021           | (17,638)               | (64,887)                    | (82,525)  |
| ცვეთა წლის განმავლობაში              | (3,874)                | (14,667)                    | (18,541)  |
| გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა   | -                      | -                           | -         |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2021           | (21,512)               | (79,554)                    | (101,066) |
| ნეტო საბალანსო ღირებულება            |                        |                             |           |
| ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2021 | 12,130                 | 41,868                      | 53,998    |
| ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2021 | 16,420                 | 27,201                      | 43,621    |

6. არამატერიალური აქტივები

კომპანიას ბალანსზე არ ერიცხება არანაირი არამატერიალური აქტივი დაფუძნებიდან 2021-წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მარაგები

კომპანიას ბალანსზე მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და ამავე წლის 1-ლი იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                               | 31 დეკემბერი 2021 | 1-ლი იანვარი 2021 |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი                                      | -                 | -                 |
| ნედლეული და მასალები                          | 101               | -                 |
| მზა პროდუქცია   პროდუქცია ბორტზე მისაწოდებლად | 839               | 1,245             |
| სარემონტო მასალები                            | -                 | -                 |
| სხვა მარაგები   საწვავი                       | 3,095             | 2,621             |
|                                               | 4,035             | 3,866             |

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური მოთხოვნები:

| 31 დეკემბერი 2021 | 1-ლი იანვარი 2021 |
|-------------------|-------------------|
|-------------------|-------------------|

|                                      |                |                |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                   | 598,430        | 177,968        |
| მოთხოვნები პერსონალის მიმართ         | 10,288         |                |
| არაფინანსური მოთხოვნები              | -              |                |
| მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები | 61,253         | 85,880         |
| <b>ჯამი</b>                          | <b>669,971</b> | <b>263,848</b> |

9. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                                    | 31 დეკემბერი 2021 | 1-ლი იანვარი 2021 |
|----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფული სალაროში                                      | 544               | 70                |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში           | 5,110             | 5,426             |
| ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში | 183,908           | 449,357           |
|                                                    | <b>189,562</b>    | <b>454,853</b>    |

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

|                                    | 31 დეკემბერი 2021 | 1-ლი იანვარი 2021 |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფინანსური ვალდებულებები:           |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები              | 195,546           | 84,413            |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | -                 | 960               |
| არაფინანსური ვალდებულებები         |                   |                   |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 676               | -                 |
| გადასახდელი დივიდენდები            | -                 | 21,707            |
|                                    | <b>196,222</b>    | <b>107,080</b>    |

11. საოპერაციო შეოსავალი:

2021 წლის საოპერაციო შემოსავალი მოიცავს საჭიერო ხომალდებისათვის წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევას არარეგულარული და რეგულარული რეისებისათვის; ხოლო კომპნიის სხვა შემოსავალი მოიცავს საბაჟო-საბროკერო მომსახურების სერვისიდან მიღებულ შემოსავალს

|                                   | 2021 წ.          |
|-----------------------------------|------------------|
| შემოსავალი მზა პროდუქციიდან       | -                |
| შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან    | 5,427,090        |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | -                |
| შემოსავალი იჯარიდან               | 1,114            |
| სხვა                              |                  |
| <b>სულ შემოსავალი</b>             | <b>5,428,204</b> |

12. მომსახურების გაწევისთვის გაწეული პირდაპირი დანახარჯები.

წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის პირდაპირი დანახარჯებია: აეროპორტის მომსახურების ხარჯები, სანავიგაციო მომსახურება, საჰაერო სივრცეში შემოსვლის ნებართვების ორგანიზება ხომალდებისათვის, ეკიპაჟის ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ორგანიზება, საწვავის ბორტზე მიწოდების ორგანიზება, ბორტზე მისაწოდებელი კვების და სხვა მარაგები მიწოდების ორგანიზება, ასევე, იმ დამატებით მომსახურებათა კოორდინაცია, რომელიც აუცილებელია თვითმფრინავის, საჰაერო ხომალდის ეკიპაჟისა და მგზავრებისთვის.

### 13. სხვა შემოსავალი:

საპროცენტო შემოსავალი, მოიცავს ბანკში განთავსებულ ანაზარზე დარიცხული პროცენტის სარგებელს.

### 14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

| საერთო ადმინისტრაციული ხარჯები                 | 2021 წ        |
|------------------------------------------------|---------------|
| საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი                | 476           |
| ქონების გადასახადის ხარჯი                      | 676           |
| საოფისე ინვენტარის დანახარჯი                   | 15            |
| კომუნიკაციის ხარჯი                             | 8,149         |
| ა/მ-ის ტექ. მომსახურების და რემონტის დანახარჯი | 11,885        |
| კომპიუტერის ხარჯი                              | 851           |
| აეროპორტის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი      | 10,865        |
| ბანკის საკომისიო ხარჯები                       | 14,239        |
| ადამიანური რესურსების მოძიების ხარჯი           | 565           |
| საპენსიო შენატანის ხარჯი 2%                    | 7,497         |
| სხვა ხარჯი                                     | 8,415         |
| <b>სულ</b>                                     | <b>63,635</b> |

### 15. სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯები(წარმომადგენლობითი ხარჯი)

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში ასახული „სხვა გაუთვალისწინებელი დანახარჯები 2021 წელს შემდგენილად განაწილდა:

|                                     | 31 დეკემბერი<br>2021 |
|-------------------------------------|----------------------|
| საჩუქრები კლიენტებს და მომწოდებლებს | 43,675               |
| სხვა წარმომადგენლობითი ხარჯი        | 1,395                |
|                                     | <b>45,070</b>        |

### 16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

კომპანას მეკავშირე საწარმოსთან 2021 წელს (რომელიც არის კომპანიის მომწოდებელი) უფიქსირდება 0,00 (ნული) ლარის ბრუნვა.

აღნიშნული კომპანია არის შპს ვიპ ავთენტიკაციის ერთერთი დამფუძნებლის 25%-იანი წილის მფლობელობაში.

